◆ **მუშა ძალის მოძრაობა.** 5 და 6 სექტემბრის განმავლობაში თბილისის შრომის ბირჟაში აღნუსხულია 1344 უმუშევართა გამოცხადება, რომელთა შორის 769 მამაკაცია და 575 ქალი. ხელახლა გატარებულია რეგისტრაციაში 342 უმუშევარი, მათ შორის 236 მამაკაცია და 106 ქალი. მოთხოვნილება მუშახელზე შემოვიდა 122, მათ შორის მამაკაცებზე—94 და ქალებზე—28, ხოლო სამუშაოზე გაიგზავნა 129 უმუშევარი, მათ შორის 101 მამაკაცი და 28 ქალი.

◆ **ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა.** როგორც დეპეშით გვატყობინებენ, სიღნაღის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ შესწირა ნატანებ-ოზურგეთის რკ. გზ. სასარგებლოდ 500 ფუთი სიმინდი.

◆ **აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ დრამატიულ სტუდიაში** მიმდინარე სასწავლო წელს მეცადინეობა განახლდება ამა წლის ოქტომბრის ორს. მისაღები გამოცდები დანიშნულია კვირას, ოქტომბრის 1-ლს დილის 10 საათზე რუსთაველის თეატრის შენობაში. სტუდიაში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს აუცილებლად ზეპირად რომელიმე იგავ-არაკი და დრამატიული ხასიათის ლექსი, ან პროზა (შეიძლება მონოლოგი და ნაწყვეტიც) თავისივე არჩევით. განცხადება მიიღება რუსთაველის თეატრის კანტორაში. მასწავლებლებათ მოწვეულნი არიან: თავისუფალი ხელოვანი კონსტ. დავითაშვილი (მეტყველების ტეხნიკა და სიმღერა), სახელმწიფო აკადემიური თეატრების შმართველი და რეჟისორი ალ. წუწუნავა (პრაქტ. სასც. მუშაობა), სახელმწიფო დრამის რეჟისორები: ალ. ახმეტელი (იგივე და იმპროვიზაცია და მიმოდრამა), მიხ. ქორელი (იგივე და თეატრისა და სასცენო შემოქმედებათა ისტორია), აკაკი ფალავა (იგივე, ფსიქოლოგია სასცენო თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული, ძირითადი სასცენო ელემენტების დამუშავება), სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დიმიტრი უზნაძე (ფსიქოლოგია), სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე გრიგოლ რობაქიძე (ესთეტიკა), ფილოსოფიის დოქტორი კ. გამსახურდია (ლიტერატურის და დრამის ისტორია), თავისუფალი ხელოვანი ვ. ქლენტისა (პლასტიკა და რიტმიული გიმნასტიკა), საბალეტო სკოლის გამგე პერინი (ცეკვა) მოწვეულ იქმნებიან: სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ჯავახიშვილი (ქართული ხელოვნებისა და ქართული ტანისამოსის ისტორიისათვის), სახელმწიფო უნივ. პროფ. ნათიშვილი (ანატომია, ფიზიოლოგია და ყელის ჰიგიენისათვის). ცნობილი ფარიკაობის მცოდნე დიდებულიძე (ფარიკაობისათვის), სამხატვრო აკადემიის რექტორი პროფ. ჩუბინიშვილი (ხელოვნებათა ისტორიისათვის), მხატვარი ელსნერი (ტანისამოსის ისტორიისათვის) რუსული დრამის მსახიობი კრუჩინინი (გრიმისათვის).

სტუდიაში იქნება ცალკე სარეჟისორო კლასი.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოში.

◆ **პროექტი დეკრეტისა ხანძარის საწინააღმდეგო ზედამხედველობის შესახებ.** ხანძარის წინააღმდეგ „საბრძოლველად და ცეცხლის საწინააღმდეგო ზომების მისაღებად შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა შეიმუშავა და წარადგინა სახ. კომისართა საბჭოში პროექტი დეკრეტისა ხანძარის საწინააღმდეგო ზედამხედველობის შესახებ. პროექტი ავალებს ადგილობრივ ცეცხლის მქრობელ რაზმთა უფროსებს აწარმოონ ზედამხედველობის წესით ქალაქებში და სოფლებში ხანძარის საქმის მდგომარეობის პერიოდიული დათვალიერება და გამოკვლევა. ამის ნაყოფიერად განხორციელებისათვის უფროსებს უფლება ეძლევათ დაათვალიერონ ყველა სახელმწიფო შენობები და მოწყობილობები, საზოგადო და კერძო ფაბრიკები, ქარხნები, ყველა წარმოებები და მეურნეობანი და აგრეთვე რკინის გზის და წყლის ტრანსპორტის მოწყობილობები. მათვე ეძლევათ უფლება თავისუფლად შესვლისა თეატრებში, ცირკებში, კინემატოგრაფებში, კლუბებში და სხვ. გასართობ დაწესებულებებში. ხანძარის საწინააღმდეგო დაწესებულების უფროსი ვალდებულნი არიან თავის დათვალიერების შედეგის შესახებ წარადგინონ ცნობა ხანძარისაგან თავდაცვის განყოფილებაში, თავისი დასკვნით საჭირო ზომების შესახებ.

◆ **ამალლების სარწყავი არხის გაყვანის შესახებ.** სახალხო მეურ. უმაღლეს საბჭოს შუამდგომლობის გამო სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სახ. ბანკს გადასცეს პირველს სახ. კომისართა საბჭოს ფონდიდან ამალლება — ვანი — ტობანიერი — გომი საჯევახოს მაგისტრალურ სარწყავ არხზე ხელოვნურ მოწყობილობის აშენებისათვის აუცილებელი საგნები.

ეკონომიური ცხოვრება

სახალხო სასურსათო კომისარიატში.

ივნისის ულუფა.

ივნისის ულუფის დარიგება სახალხო სასურსათო კომისარიატს მინდობილი აქვს მთლიან მუშათა კოოპერატივს, რომელსაც სრულად აქვს მიღებული სას. კომისარიატისაგან ყველა პროდუქტი. თუ ვინმე ივნისის ულუფით დაკმაყოფილებული არ არის, უნდა მიმართოს განცხადებით სახალხო სასურსათო კომისარიატს.

ივლისის ულუფა.

სექტემბრის 8-დან სახალხო სასურსათო კომისარიატის განმანაწილებელი განყოფილება ივლისის ულუფის დარიგებას იწყებს თავის ცენტრო-საწყობიდან. მშრალი ულუფის ანგარიშში მუშა-მოსამსახურეებს შემდეგი შეფასებით მიეცემათ პროდუქტები: 1 გირვ. შაქრის ფხვნილი—17000 მან., ერთი მეოთხედი ჩაი—16,000 მან., 5 გირვ. ლობიო—20,000 მან., 3 გირვ. მარილი—3,000 მ. და 3 გირვ. ბრინჯი—40,000 მან., სულ მშრალი ულუფის ღირებულება—96,000 მან., ეს ულუფა უნდა მიეცეს ყველა იმ საბჭოთა მუშა მოსამსახურეებს, რომელნიც ივლისში სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე ითვლებოდნენ, ან ულუფა ეძლევათ სახალხო სასურსათო კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულობის თანახმად.

მისაღები საათები სახ. სახ. კომისართან.

სახალხო სასურსათო კომისარი ამხ. ერქომაიშვილი მთხოვნელებს მიიღებს მხოლოდ ნაშუადღევის 1-დან 2 საათამდე. სახალხო კომისრებს, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს და პარტიულ და მუშათა ოფიციალურ წარმომადგენლებს მიიღებს რიგ გარეშე.

პარტიული ცხოვრება.

ახალგაზრდათა კომკავშირში

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს

ა. წ. 15 სექტემბერს რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი იწვევს ტფილისში კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის 2-ე საოლქო ყრილობას.

დღის წესრიგი:

1) ფედერატიულ რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

2) საერთაშორისო ახალგაზრდობის მოძრაობა.

3) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში და მოხსენება. „ამიერ-კავკასიის კავშირის გაწმენდის შესახებ“.

4) სრულიად რუსეთის მე-IV ყრილობისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის 1 ყრილობას გადაწყვეტილებათა გატარების შედეგები.

5) ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობა ახალ პირობებში.

6) ახალგაზრდობის არაკომუნისტური ორგანიზაციების შესახებ.

7) რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის არჩევა.

8) დელეგატების არჩევა სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობაზე.

ყრილობა გამოჰყოფს მუშა-ახალგაზრდობის პოლიტიკურ-განმანათლებელ, შრომის, ყოფაცხოვრების და განათლების სექციებს.

წარმომადგენლობის ნორმა: 250 კაცზე—1 დელეგატი.

დელეგატები დაშვებულნი იქნებიან მხოლოდ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

რუსეთის ახალგაზრდობათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი **ვ. ფეიგინი.**

ახალგაზრდათა კომკავშირში

ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში მაზრებიდან მიღებულ არა სრული ცნობების მიხედვით საერთაშორისო ახალგაზრდობის დღესასწაული დიდი წარმატებით და აღფრთოვანებით ჩატარდა. თვითეულ მაზრაში იმართებოდა რამდენიმე დემონსტრაცია, მაგალ. სენაკის მაზრაში გაიმართა 15 მიტინგი და მანიფესტაცია; იგივე მოხდა ქუთაისის, გორის და სხვა მაზრებში. ახალგაზრდათა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები შეეცადენ დემონსტრაციების ჩაშლას, მაგრამ მათი მეცადინეობა უშედეგოდ დამთავრდა. დემონსტრაციებში მონაწილეთა რიცხვი 80.000 კაცს აღემატება. (რაიონებიდან ცნობები ჯერ არ მოსულა) ყველგან მიღებულია რეზოლიუცია დაუყონებლივ ახალგაზრდათა საერთაშორისო კონგრესის მოწვევის შესახებ მუშათა ერთიანი ფრონტის შესაქმნელად და აგრეთვე მენშევიკებს და მათი შვილების შესახებ, რომელნიც შლიან მუშათა ერთიან [illegible] დასავლეთ ევროპაში, ხოლო აქ ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას.

ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრ. კომიტეტის მდივანი **ვ. დევდარიანი.**

სამურზაყანოს მაზრა.

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში სამურზაყანოს პარტკომის მუშაობას ემჩნევა დიდი გამოცოცხლება. პარტკომი და აღმასკომი მუშაობენ სრულ კონტაქტში. ითვალისწინებს რა ადგილობრივი მცხოვრებლების თანაგრძნობას საბჭოთა წყობილებისადმი, პარტკომი ცდილობს თავი მოუყაროს იაჩეიკების ირგვლივ უფრო სინდისიერსა და კომპარტიის ერთგულ გლეხობას. თანამგრძნობლების რიცხვი უდრის 260 კაცს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში ჯერ არ გატარებულა თანამგრძნობთა იაჩეიკების ორგანიზაცია.

ამ რიგად პარტიის ირგვლივ თანამგრძნობების თავის მოყრა სამურზაყანოს მაზრაში წარმოადგენს წმინდა სტიქიურ მოვლენას და მაჩვენებელია იმისა, რომ გლეხობა თანაგრძნობით ეპყრობა კომუნისტურ პარტიას.

უკანასკნელი თვის განმავლობაში სამურზაყანოს მაზრის პარტკომმა მოაწყო 10 უპარტიოთა მიტინგი. კვლავ გაიხსნა 4 სამკითხველო-ქოხი: ახიგვარში, ოკუმში, ჩიბურისხინში და ძალში. სამკითხველოების სისწორით მუშაობას ხელს უშლის გაზეთების თავისდროზე მიუღებლობა. სამურზაყანოს მაზრაში მოიპოება 18 კომიაჩეიკა, რომლებშიდაც სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა პოლიტიკური უცოდინარობის აღმოსაფხვრელად. ყოველ კვირაობით იაჩეიკებში მიდიან მომზადებული ამხანაგები და კითხულობენ ლექციებს. მეცადინეობა, მიუხედავად ზაფხულის სიცხეებისა, სწარმოებს გაცხოველებით.

გლეხობას დიდად აინტერესებს პარტიის პროგრამა და საბჭოთა წყობილების სტუქტურის საკითხები.

პროვინციაში

ქ. ზესტაფონი.

შორაპნის მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, სამაზრო პარტკომთან არსებულმა პოლიტიკურ-განათლების განყოფილებამ და შორაპ. სამაზრო პროფბიურომ, მიაქციეს სათანადო ყურადღება. პირველმა შეეძლო დღემდის მთელ მაზრაში 16 სკოლის გახსნა, საღამოს კურსების მზგავსად, სადაც უმთავრესად მეცადინეობენ ნოქარ-შეგირდები და ღარიბ გლეხების შვილები. ზემოხსენებულ სკოლებ შორის ყველაზე თვალსაჩინოა ქ. ზესტაფონის საღამოს კურსები, სადაც ყოველ დღე მეცადინეობს 100-ზე მეტი მოწაფე-ნოქარ-შეგირდი. სწავლა სისტემატიურად მიმდინარეობს. მასწავლებლებიც ერთგულათ ეკიდებიან საქმეს.

ზემოხსენებული კურსები თავის დონეზე დადგა ამხ. დ. გულოვის თავდადებული მუშაობით, რომელიც დანიშნულია წარმომადგენლათ სამაზრო პარტკომის მიერ, და რომელიც ნოქარ-შეგირდებს ამეცადინებს პოლიტიკურ გაკვეთილებში, კვირაში სამჯერ.

ნოქარ შეგირდებს ჰყავს თავისი ადგილკომი. ამა წლის 1 სექტემბერს შესდგა ნოქარ-შეგირდების გაერთიანებული კრება გაკვეთილების შემდეგ, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. დ. გულოვმა. სამაზრო პროფბიუროს მდივანმა—დუდუშა მშვენიერაძემ და ახალგ. შორაპნის სამაზრო კომიტეტის მდივანმა—ნ. პატარაიამ, 3 სექტემბრის მნიშვნელობაზე. ყველა მოხსენებები აღნიშნავდნენ დღის მნიშვნელობას და მოუწოდებდნენ დამსწრეთ მიეღოთ ცხურმალე მონაწილეობა ამ დღესასწაულში. სიტყვები იფარებოდა ტაშის ცემით.

იქვე იმავე კრებაზე მოხდა ძველი ადგილკომის მუშაობის გამოკვლევა და შემდეგ კი არჩეულ იქნა ახალი ადგილკომი შემდეგი შემადგენლობით: 1) დ. გულოვი, 2) ჰანკვეტაძე და 3) მუმლაძე.

ქ. სიღნაღის მოსახლეობის ერთდროული აღწერა 1922 წ. 28 ივნისს.

ამ უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური და აგრეთვე სამეურნეო ცხოვრება ისე ხშირ ცვალებადობას განიცდის, რომ არამც თუ მისი დაწვრილებითი შესწავლა, არამედ ზოგიერთ არა რთულ მოვლენათა აღნუსხვაც კი ერთობ დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამ მოვლენათა ცვალებადობის სწორი აღნუსხვისა და შესწავლისათვის აუცილებლივ საჭიროა მასიურ დაკვირვებათა სისტემატიურად წარმოება. ჩვენში კი ჯერ ჯერობით სტატისტიკურ-მასიურ დაკვირვების საქმე ისე ვერ არის დაყენებული, რომ ყოველი ახალი მოვლენა შეუსწავლელი არ დარჩეს. 1917 წლის აქეთ საქართველოში არ წარმოებულა არც ერთი ძირითადი აღწერა, როგორც სასოფლო სამეურნეო და დემოგრაფიულის, ისე სხვა დარგებში. ამ ხნის განმავლობაში კი, როგორც სოფლის ისე ქალაქის ცხოვრება ბევრგვარათ შეიცვალა და ყოველი ახალი ცხოვრების ახალ ნიადაგზე დაწყება თხოულობდა ახალ მასალებს, მისი ნამდვილი სურათის გამოსახატავად. უკანასკნელის საჭიროება განსაკუთრებით და უფრო მეტის სიმწვავით ამ ბოლო წლებში წამოიჭრა, როდესაც საჭირო გახდა თანამედროვე ცხოვრების ძირიანათ გარდაქმნის მოხდენა, როდესაც ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმა მოითხოვდა გეგმა-შეწონილ და ფაქტებზედ დაყრდნობითი მოქმედებას. ამ მიზნისათვის რამდენჯერმე იყო გადაწყვეტილი უმთავრეს დარგთა ძირითად აღწერის საკითხი, მაგრამ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო დღემდე არ გატარებულა. ძირითად გამოკვლევათა საჭიროება კი იმდენათ გაიზარდა, რომ ადგილობრივათ მაზრებიდან თხოულობდენ ნებართვას აღწერის წარმოებისათვის. ერთი ასეთი შემთხვევა იყო სიღნაღის მაზრიდან, რომელზედაც ამ წერილში მინდა შევჩერდე.

სიღნაღის სამაზრო ეკონომიურ განყოფილებას, რომელიც დღეს მემკვიდრეთ ითვლება ყოფილ ქალაქის თვითმმართველობისა, დიდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ქალაქის შესახებ სათანადო სტატისტიკურ ცნობების უქონლობა. დიდ საალმშენებლო მიზნებს რომ თავი გავანებოთ სულ ვიწრო-ფისკალურ მიზნებისათვისაც ისე აუცილებელი შეიქნა ქალაქის მდგომარეობის აღწერა და მისი დღევანდელი სინამდვილის გაგება, რომ ქალაქის მესვეურთ უამისოდ უბრალო პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმაც კი უძნელდებოდათ. ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობის გამორკვევა, სახლკარის მდგომარეობის აღწერა და წვრილ სოციალურ ერთეულის ოჯახის მდგომარეობის გამოკვლევა აუცილებელ საჭიროებათ გადაიქცა. ამის გამო სიღნაღის სამაზრო ეკონომ-განყოფილებამ ამ სამი თვის წინათ მიმართა ადგილობრივ, სამაზრო სტატბიუროს, რათა მას აღწერის ნებართვისათვის ეშუამდგომლა ცენტრ სტატისტიკურ სამმართველოს წინაშე და მოეხდინა აგრეთვე აღწერა. სამაზრო სტატბიურომაც, სცნო რა ქალაქის აღწერა აუცილებელ საჭიროდ, დაუყონებლივ შეადგინა აღწერის პროგრამა და ნებართვისათვის შევიდა შუამდგომლობით ცენტ სტატ. სამმართველოში. უკანასკნელმა, განიხილა რა სტატბიუროს მოსაზრება ქალაქის აღწერის საჭიროების შესახებ, შესაძლებლად სცნო ქალაქის აღწერის მოხდენა და დართო ნებაც. წარმოდგენილი პროგრამაც მცირეოდენ ცვლილებათა შეტანის შემდეგ დაამტკიცა და აღწერის მეთაურობის გასაწევად გაგზავნა საგანგებო რწმუნებული. უკანასკნელი ჩასვლის თანავე ივნისის 1 ელ რიცხვებში შეუდგა წინასწარ მუშაობას: დაარსა ქალაქის საალწერო ბიურო, შეადგინა საბოლოოთ აღწერის პროგრამა, შექნა სათანადო კადრი აღმწერთა და ხელმძღვანელთა და შეუდგა აღწერისათვის ყველა წვრილმან საქმეთა მოგვარებას. საალწერო ბიუროს მიერ შედგენილ იქნა ქალაქის სქემატიური გეგმა, რომლის მიხედვით განაწილდა ქალაქი საალწერო და საანგარიშო უბნებათ. საალწერო ფორმულიარების დამზადების შემდეგ დამზადდა სათანადო სახელმძღვანელო და შედგენილ იქნა მოწოდება ქალაქის მცხოვრებთა მიმართ. ამრიგათ წინასწარ მუშაობის დამთავრების შემდეგ, საალწერო ბიუროსა და სამაზრო აღმასკომის დადგენილების თანახმად, ა|წ 28 ივნისს დაიწყო ქ. სიღნაღის მოსახლეობის ერთდღიური აღწერა. უკანასკნელი სწარმოებდა 2 ფორმულიარის: „სახლკარის“ და „საოჯახო“ ბარათების საშუალებით. 3 დღის განმავლობაში. აღწერილ იქნა ქალაქი „ცალკე,“ ნუკრიან ჰოტორსა და კალოების გარდა, რადგან 1921 წლიდან ეს ნაწილები ქალაქიდან გამოიყო და ცალკე ადმინისტრაციული ერთეული-თემი შეადგინა. აღწერისათვის ქალაქი დაყოფილი იყო 5 საალწერო და 20 საანგარიშო უბნებათ; საალწერო ბიუროს საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ თვითეულ ამ საალწერო უბანს ხელმძღვანელობდა თითო ინსტრუქტორი და საანგარიშოს—საკუთარი რეგისტრატორი.

საალწერო პერსონალი სულ 30 წევრისაგან შესდგებოდა, რომლისაგან 5 ბიუროს წევრი იყო, 5 უბნის ხელმძღვანელი და 20 იც საანგარიშო უბნის რეგისტრატორი. ამათ შორის 6 უმაღლესი განათლებით არის, 2 უმაღლესში სწავლობს, 16 საშუალოთ, 3 დაბალითა და 3-იც საშუალოში სწავლობს. წინა აღწერებში მონაწილეობა მიღებული აქვს 14 წევრს, ე. ი. 46, 67 პროც. თითქმის მთელ პერსონალის შემადგენლობის ნახევარს. ამრიგათ საალწერო პერსონალის შემადგენლობა სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო, როგორც განათლების ცენზის, ისე საალწერო სტაჟის მიხედვით, რასაც აღწერისათვის დიდი და გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს.

აღწერის დამთავრების შემდეგ ბიურო შეუდგა მასალების დამუშავებას, იმ კითხვების მიხედვით, რომელიც უფრო სასწრაფო საჭიროებას წარმოადგენდა ადგილობრივ. ამ წინასწარ დამუშავებულ მასალის შედეგების ზოგიერთ ადგილს მოვიყვანთ აქ:

1. ქ სიღნაღის მფლობელობათა რაოდენობა და არე (კვადრ. საჟენ.)

საალწერო უბნები	მფლობელობათა (სახლ-კარის) რაოდენობა.	არე მფლობელობათა ქვეშ (კვ. საჟ.)	საშუალოდ 1 მფლობელობაზე მოდის არე (კვ. საჟ.)
1	201	5 7448	285,81
2	135	10 361	76,75
3	202	12.349	60,64
4	116	11.933,5	102,87
5	110	25 221	229,28
5	764	117.312,5	153,55

ერთ მფლობელობას ქალაქში საშუალოდ უჭირავს 153,55 კვ. საჟენი არე. ცალკე უბნების მიხედვით კი 1-სა და 5 უბანში მფლობელობას საშუალოდ 2—3 ჯერ მეტი არე უჭირავს შედარებით დანარჩენ უბანთან. 1 და 5 უბანი განაპირა უბნებია ქალაქისა და ამიტომაც არის რომ ასე გაშლილათ არის დასახლებული მოსახლეობა. ცენტრში კი, სადაც განსაკუთრებით სავაჭრო დაწესებულებებია მოთავსებული იქ ერთ მფლობელობაზე საშუალოდ მოდის—60,64 კვ. საჟენი ანუ 4 და მეტჯერ ნაკლები ვიდრე 1—და 5 უბანში.

ქალაქის თუ რომელ ნაწილშია უფრო მეტი სიხშირე შენობათა და მჭიდრო მოსახლეობა ამას უფრო ნათლად შენობათა მიერ დაკავებული არე გვიჩვენებს:

2. შენობათა მიერ დაჭერილი არე (კვადრ. საჟენ.)

საალწერო უბანი	შენობებს უჭირავს არე (კვ. საჟ.)	საშ. ერთ მფ. შენ. უჭირ. არე პროც-ში	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	6,380	11,0 *)	*) ეს პროცენტები მფლობელობასთან შეფარდებული შენობის არე არის.
2	3,058	29,51	
3	4,933,5	40,43	
4	2,935,5	16,22	
5	4,817	19,09	
5	22,184 კვ. ს.	18,91 პროც.	

ქალაქის მე 2 და 3 უბანში თვითეულ მფლობელობის შენობას საშუალოდ დანარჩენ უბნებთან შედარებით 2—3-ჯერ მეტი არე უჭირავს. მე-3 უბანში მფლობელობის არეს 40,43 პროც. უკავია შენობას, 1-ში კი მხოლოდ 11,0 პროც. ამრიგად ქალაქის შუაგულში შენობები ხშირად არის გაშენებული და ამიტომაც არის, რომ ერთ მფლობელობაზე საშუალოდ იქ შენობას რამდეჯერმე მეტი სივრცე უჭირავს ვიდრე განაპირა უბნებში.

საშუალოდ კი მთელ ქალაქში ერთ მფლობელობაზე შენობას უჭირავს 18,91 პროც. აბსოლიუტურ რიცხვში—29,03 კვ. საჟენი.

თუ რა მდგომარეობაშია ქალაქი სახლკარის შენობათა და სანიტარულ მდგომარეობის მხრივ ამას მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს:

3. ქალაქი შენობებისა და სანიტარულ მდგომარეობის მხრივ

საალწერო უბანი	სახლ კარი	კაპიტალურ შესაკეთებელი შენობები	პროცენტებში	სისუფთავე არ არის დაცული სახლ კარში	პროცენტებში	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	201*)	84	41,79	41	20,29	*) ვინაიდან შენობათა რაოდენობა წინასწარ დამუშავების დროს არ გამორკვეულა, ამიტომ აქ მოგვყავს სახლკარის რაოდენობა იმ მოსაზრებით, რომ რიცხვი შენობათა და სახლკართა ერთგვარი იქნება, რადგან სიღნაღში იშვიათია ისეთი სახლკარი სადაც რამდენიმე შენობა იყოს მოთავსებული და თუ ასეთი შემთხვევა რამდენიმეა მის რაოდენობას გაითანაბრებს დაუსახლებელ სახლთკართა რიცხვში.
2	135	19	14,07	9	6,67	
3	202	67	33,16	30	14,36	
4	116	31	26,72	13	11,21	
5	110	62	56.36	10	9,09	
5	764	263	34,42	103	13,48	

ქალაქის შენობების მესამედს—34,42 პროც. კაპიტალური შეკეთება სჭირდება განსაკუთრებით 1-სა და 5 უბანში, სადაც ძველი შენობათა დიდი სიმრავლეა. 1 უბანში ბევრია გაპარტახებული და სრულიათ უპატრონოთ მიტოვებული შენობები. ამიტომაც არის, რომ იქ ყველაზედ ზეტი უსუფთაობაა. ქალაქის შუა გულიც თითქმის ამავე მდგომარეობაშია—სავაჭრო დაწესებულებათა და ყოფილ სადგომ ეზოების სიხშირის გამო აქაც არა ნაკლები უსუფთაობაა, რის შესახებ, სხვათა შორის, ადგილობრივი პრესაც დიდ განგაშს იწვევდა.

თუ გადავავლებთ თვალს ბინების მდგომარეობას იქ შემდეგ სურათს დავინახავთ.

4. ბინების მდგომარეობა.

საალწერო უბანი	სახლკარი	ბინა	საცხ. ოთახ.	მათ შორის საბჭ. დაწ. და მოს. უჭირავ: აბსო.	პროც
1	201	322	550	122	22,18
2	135	183	301	60	19,93
3	202	217	403,5	122,5	30,36
4	116	139	187	5	2,67
5	110	162	272	41	15,08
5	664	1023	1713,5	357,75	20,34

ქალაქის სახლკარისა და ბინების რაოდენობა თითქმის ერთფეროვანია 2 სახლკარზე 3 ბინა მოდის, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ აქ მოსახლეობა განკერძოებულათ არის დასახლებული. ამას ადასტურებს აგრეთვე ის გარემობაც, რომ ერთ ბინაზე მარტო—1,67 ოთახი მოდის. 1713,5 ოთახიდან საბჭოთა დაწესებულებებსა ლა მოსამსახურეთ უჭირავს 358,5 ოთახი ანუ 20,34 პროც. მარტო 1 და 3 უბანში მათ მიერ დაჭერილია 244,5 ოთახი—68,26 პროც. დანარჩენ 3 უბანთან შედარებით. აქედან აშკარაა, თუ როგორი სივიწროვე უნდა იყოს ამ უბნებში ბინების მხრივ.

ქალაქში სულ 293 სავაჭრო და წვრილი სამრეწველო დაწესებულება არის, რომელიც უბნების მიხედვით ასე ნაწილდება: 1 უბანში—36, მე-2—7, მე-3—206, მე-4-ში—25 და მე-5-ში 19. ამრიგათ სავაჭრო და წვრილ სამრეწველო დაწესებულებათა ორი მესამედი მოდის მე 3 უბანზე, რომელიც განსაკუთრებით ამ გვარ დაწესებულებებით არის მოფენილი. 1023 ბინიდან ქალაქის წყალსადენით სარგებლობს 552 და დანარჩენი 471 ბინას წყალი ამოაქვს მახლობელ წყაროებიდან.

5. წყლით სარგებლობა.

საალწერო უბანი	ბინა	წყლით სარგებლობენ წყალსადენით: ბინაში გაყვ.	მახლობ. ქუჩიდან	სულ	პროცენტები	მახლობელ წყაროდან	პროცენტები
1	322	65	127	192	59,63	130	40,37
2	183	10	117	127	69,40	56	30,60
3	217	62	110	172	79,26	45	20,74
4	139	12	—	12	8,64	127	91,36
5	162	27	22	49	30,24	113	69,76
5	1023	176	376	552	53,95	471	46,05

ქალაქის წყალსადენით ყველაზედ მეტს სარგებლობს მე-3 და 2 უბანი, ყველაზე ნაკლებათ კი მე-4 და 5-თე. უკანასკნელი უბნები თითქმის მარტო წყაროებით სარგებლობენ, თუმცა, წყალსადენი მათთვისაც აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს, რადგან ოჯახის ყველა საჭიროებისათვის ამ უბნების ზემო ნაწილისათვის მაინც—ნუკრიანის აღმართებზე და ორთაჭალის მცხოვრებთათვის ძლიერ ძნელია ხევებიდან წყლის ზიდვა. დღეს კი ამ უბნის მცხოვრებთა ერთად ერთი წყლით მასაზრდოებელი არის წყარო „თავვატეხილა“, რომელიც ამ უბანთა განაპირა მცხოვრებთაგან დაცილებულია თითქმის ნახევარი ვერსტის მანძილით.

ქალაქის დღევანდელ მდგომარეობას—მოსახლეობის მხრივ ნათლად ასურათებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

6. ქალაქის მოსახლეობა.

საალწ. უბანი	ბინა	მცხოვრებთა რაოდენობა. მამ.	დედ.	სულ	ერთ ბინაზე საშუალოდ მოდის სული.
1	322	738	666	1404	4,36
2	183	382	411	793	4,33
3	217	407	419	826	3,81
4	139	312	304	616	4,43
5	162	375	320	695	4,29
5	1023	2214	2120	4334	4,24

ქ. სიღნაღის მცხოვრებთა რაოდენობა იმ ფარგლებში, რომელშიაც ა. წ. 28 ივნისის აღწერა მოხდა გამოდის 4334 სული, გარდა სამხედრო და პოლიტიკურის ძალთა შემადგენლობისა, რომელიც აღწერაში არ მოჰყოლია. 1917 წ. აღწერით, თუ ავიღებთ ქალაქს ამავე ფარგლებში, მცხოვრების რიცხვი უდრის 5821 სულს, ანუ 1487 სულზე მეტს ვინემ ა. წ. აღრიცხვით. თუმცა ეს აღწერა არ მომხდარა ისეთ დროს, როდესაც ქალაქის მოსახლეობა ნაკლებ მოძრაობაშია და აღწერისათვის—მცხოვრებთა რიცხვის სწორი გამოანგარიშებისათვის უფრო ხელსაყრელია, მაგრამ მაინც ქალაქის მოსახლეობის ასეთი დიდი შემცირება რაიმე სხვა დიდი მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული. სიღნაღი, ეს ქიზიყის დედა ქალაქი და მაზრის ეკონომიური და კულტურული ცენტრი, ამ ბოლო წლებში თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას და ყოველმხრივათ ეცემა, რის გამო მაზრის ყურადღებასაც ნაკლებად იპყრობს დღეს. ეს ქალაქი ამ მდგომარეობაში ჩააყენა კახეთის რკინის გზის ლიანდაგის უხეიროდ გაყვანამ, რომელიც ვერ უდგება სიღნაღს ვერც ერთი მხრით და დაცილებულია მთელი 10—12 ვერსტით—შარა გზით. აგრეთვე ქალაქის მდებარეობაც დიდათ აბრკოლებს მიმოსვლის საშუალებას და სხვა მიზეზებიც, მაგრამ უმთავრესად კი ეკონომიური მიზეზი სცემს ქალაქს ზრდას და აკარგვინებს მას თავის წინანდელ მნიშვნელობას. მიუხედავათ ამისა მაინც ქ. სიღნაღი რესპუბლიკის ზოგიერთ სამაზრო ქალაქებს დღეს-დღეობითაც არაფრით არ ჩამოუვარდება თუ არა სჯობნის მათ.

„ნარ.“

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

აქ თანამშრომელ დამტარებლების მდგომარეობა მეტად ცუდია იმ მხრივ, რომ მათ არ ეძლევათ საგზაო, ტრამვაის ფული. ქალაქის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში ფეხით სიარული და ისიც ყველა პაკეტების დარიგება ფიზიკურათ შეუძლებელი ხდება. თუ კი სხვა დაწესებულებებში მიღებულია დამტარებლებ შიკრიკებისათვის ტრამვაიის ფულის მიცემა, აქ რისთვის არ უნდა იყვეს. საჭიროა ადგილკომი ამას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს და სადაც ჯერ არს სათანადო შუამდგომლობას აღძრავდეს. ამას თხოულობს როგორც დაწესებულების ისე მოსამსახურეთა ინტერესი.

თანამშრომელი.

აღარა გვაქვს მოსვენება

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ზოგიერთ ვაჟბატონებმა თავისებურად გაიგეს და განაახლეს გარყვნილი და მსუბუქი ცხოვრება. კარტი, ლოტო, ქეიფი და სხვა,—აი რით იქცევს თავს კაბინეტებისა და სპეკულიაციის ხალხი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეს ვაჟბატონები თავისი ქეიფით და მსუბუქი დროს ტარებით ჩვენ მუშა მოსამსახურეებს არ გვაძლევენ მოსვენებას და ძილს. სემიონოვის ქ. № 12 სცხოვრობს ვინმე ვაჭარი. ამავე სახლში სცხოვრობს მრავალი საბჭოთა მოსამსახურე. ეს ვაჭარი სისტემატიურათ ქეიფობს თავის ოთახში და წინ აივანზე. არის ზურნა დოლი, ყვირილი. პირდაპირ შეუძლებელი ხდება არა მარტო ამ სახლში, არამედ ახლომახლო სახლებშიაც დაძინება. ერთმა მოსამსახურემ მოთმინებიდან გამოსულმა განუცხადა ამ ვაჟბატონს მოსამსახურე ვარ, ხვალ სამსახურში უნდა წავიდე და მაცალეთ ძილი, აივნიდან ოთახში მაინც შებრძანდითო. ეს შენიშვნა მას სასაცილოდ არ ეყო. მოსამსახურემ მიმართა მილიციას, არც აქედან გამოვიდა რაიმე. ამის შემდეგ ვაჭარმა საძაგელი ლანძღვა და დაცინვა დაუწყო ხსენებულ მოსამსახურეს. საჭიროა ასეთ გათავხედებულ ვაჭრების წინააღმდეგ მეტი რეპრესიული ღონისძიების მიღება. საჭიროა, თანახმად საბინაო კანონისა, მისი ამ სახლიდან მთლად გაძევება, როგორც სხვისი მყუდროების დამრღვევ მდგურისა.

მოსამსახურე.

კიდევ ,,ნაჩაი''

,,ნაჩაი'' ეს სამათხოვრო და სამარცხვინო ფორმაა შრომის ხელფასის მუშათა კლასისათვის, ის ყოვლად მიუღებელია. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ხანებში ,,ნაჩაიმ'' კვლავ მოიკიდა ფეხი. საპარიკმახეროდან რომ გამოდიხართ, კარებში მდგომი მოსამსახურე თვალებში შემოგცქერებია, თუ რას მომცემსო. კიდევ უფრო მეტი დაკვირებით უყურებენ შენს ჯიბეს აბანოში მოსამსახურეები. აქ ,,ნაჩაი'' მოსამსახურეებისათვის არავითარ საჩოთირო რამეს არ წარმოადგენს. ,,ნაჩაის'' წყალობით მუშა არღვევს ერთგვარ წესიერებას და ,,ნაჩაიის'' მიმცემი აბანოს ნომრებით რიგ გარეშე ასარგებლოს. ასეთი გარემოება მუშათა ცხოვრებაში მახინჯ მოვლენას წარმოადგენს. მას სასტიკი და ენერგიული ბრძოლა უნდა გაეწიოს. შრომის ხელფასი მათხოვრობით არ უნდა გაისვაროს.

მე—ნოე.

ვაჭრის თავხედობა

ოლღას ქუჩაზე № 10 ვაჭრობს გასტრონომიული საქონლით ვინმე კავლიშვილი. ეს ვაჭარი თავხედათ და უზრდელათ ეპყრობა არა მარტო თავის მოსამსახურეებს, რის მოწამეც ხშირად მუშტრებიცაა, არამედ თვით მუშტრებსაც. 26 აგვისტოს ერთმა მანდილოსანმა შენიშნა, ასეთი საქციელი და გინება მუშტრების წინაშე დაუშვებელიაო. შენიშვნამ ერთობ გააბრაზა კავლიშვილი და ნაირ-ნაირი საგინებელი სიტყვებით მისდგა ამ მუშტარ მანდილოსანს. საყურველია, შრომის დაცვის განყოფილების თანამშრომლები ხშირ ხშირათ შეიხედავდენ იქ და ამ ყურჩ ხაზეინს თავის მოსამსახურეებისადმი ზრდილობას ასწავლიდენ.

ვინმე.

დაწესებულებათა უფროსების და მოსამსახურეთა საყურადღებოთ

თანახმად მთავრობის განკარგულებისა, სამხედრო დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეთ უნდა მიეღოთ ერთდროული დახმარება ცოლშვილზედ იანვრიდან 1922 წ. ამისათვის საჭირო იყო მოსამსახურეს წარედგინა დაწესებულებაში მილიციის უფროსისგან მოწმობა, რომ მის სარჩენლათ იმყოფება ესა და ეს (ვინც ეყოლებოდა) მოსამსახურეს განცხადება შეჰქონდა იმ უბნის სამილიციო სამმართველოში, რომელშიდაც თითონ სცხოვრობდა და ეს უკანასკნელი გამოძიებისა და დადასტურების შემდეგ გადაგზავნიდა თხოვნით მილიციის სამმართველოში მოწმობის მისაღებათ. ამგვარი ისტორია ჩემ თავზედაც დატრიალდა. მივედი ოთხი დღის შემდეგ უბნის სამმართველოში (განცხადების შეტანის შემდეგ), მომცეს საქმის №. მილიციის სამმართველოში, როდესაც გავშინჯეთ, ქაღალდები აღმოჩნდა მიღებული და მიმაგზავნეს მეორე მაგიდასთან, მეორემ მესამესთან, მესამემ მეოთხესთან, საიდანაც იძლევიან მოწმობებს. როდესაც გადაშინჯა, მე სრულებით აღარ ვყოფილვარ შიგ შეტანილი. დამაბრუნა უკანვე მეორე მაგიდასთან, ამ უკანასკნელმა შემგზავნა საერთო კანცელარიაში.

სრულებით ვერაფრის გაგებას ვერ ეღირსება კაცი.

მეორე მაგიდაზედ, როდესაც საქმემ მკაცრი ხასიათი მიიღო, გამოირკვა, რომ ამ №-ით გამოგზავნილი ქაღალდები ვიღაც კიროკოზიანცის ყოფილა და არა ჩემი. აღშფოთებული დავბრუნდი უბნის სამმრთველოში, სადაც ბოდიშს იხდის ქალბატონი შეცდომისათვის და მაძლევს ნამდვილ №-ს.

იმ დღეს რაღას მოვასწრებდი, გვიანი იყო, და მეორე დღეს შევედი მილიციის სამმართველოში. გავშინჯეთ და გამოირკვა, რომ ეს მოცემული № სრულებით არ შემოსულა სამმართველოში.

მივმართე მეორე მაგიდას, მესამეს, მეოთხეს, მაგრამ ამაოდ, აღარსად სჩანს. გავიშურე ისევ რაიონის სამმართველოში. როდესაც გავშინჯეთ სატარებელი წიგნი, აღმოჩნდა ჩაბარებული და მასზედ ხელიც მოწერილია.

მესამე დღეს რამდენიც არ ვეძებეთ ჩემი ქაღალდები მოცემულ №-ით, აღარ აღმოჩნდა მზათ ჩემზედ მოწმობა. რაში ყოფილა საქმე? იმაში, რომ როდესაც ჩემი ქაღალდები მიუღიათ, არსად არ ჩაუწერიათ, ისე გადუციათ დასამზადებლათ. მისაღებათ დამიბარა ერთი საათის შემდეგ.

კორიდორში ვერ გაივლით იმოდენა ხალხი ტრიალებს. ჩავდექი რიგში და მეღირსა მიღება მაშინ, როდესაც ფეხებზედ გაჩერების ძალა უკვე გამომელია.

წარვადგინეთ ერთდროული დახმარების მისაღებათ მოწმობები, მაგრამ დღემდი აღარ გვეღირსა მისი მიღება. რა არის მიზეზი გაუკებრათ რჩება.

საჭიროა ყველა მოსამსახურეებმა იმუშაონ წესიერად და კანონიერათ. აგრეთვე საჭიროა დაწესებულებების უფროსების მეტი სიფხიზლე, რომ მათ კანცელარიაში სამ დღეობით თავს არ იმტვრევდეს ხალხი.

პ. ჩ.

ადგილობრივად ნოქარ-შეგირდებში გატარებულია 8 საათის სამუშაო დღე. რომ კურსები კიდევ უფრო ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მასწავლებლების დაკმაყოფილება, ნოქარ-შეგირდებზე წიგნების და რვეულების მიწოდება და სხ. იმედია, ამ გარემოებას მიაქცევს სათანადო ყურადღებას მაზრის პოლიტ-განათლების განყოფილება და მოაგვარებს ყოველივე საკითხებს, როგორც ადგილობრივ, ისე მთელს მაზრაში, რითაც რამდენიმე ასეულ ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს გამოიყვანოს იმ სიბნელიდან, რომელშიდაც დღეს ისინი იმყოფებიან.

მგქია.

ქ. ახალ-სენაკი.

ამა წლის 5 ივლისს ახალ სენაკში გაიხსნა სენაკის მაზრის პედაგოგიური კურსები, რომელიც დაიხურა 16 აგვისტოს.

მსმენელთა რიცხვი აღემატებოდა 110-ს. მათ შორის 45 მსმენელი იყო აღმასკომის ხარჯზე, დანერჩენი თავის ხარჯზე. მსმენელთა მესამედი თითქმის მასწავლებლობა იყო.

მიზანი კურსების გახსნისა იყო ახალი სკოლისათვის ასე თუ ისე მომზადებული მასწავლებლების გამოშვება.

არ შემიძლია არ აღვნიშნო საერთოდ ხელმძღვანელებისა და ლექტორების ენერგიულობა ამ საქმეში; მათ არ დაუზოგავთ ძალ-ღონე, რომ კურსები თავის დანიშნულების დონეზე მდგარიყო და მას კარგი შედეგი მოეტანა. მსმენელებიც სათანადოთ აფასებდნენ ხელმძღვანელებისა და ლექტორების მუყაითობას და ისინიც მოვალეობას ასრულებდნენ პირნათლად.

კურსებს ჰყავდა აგრეთვე თვითმართველობა ხუთი მსმენელისაგან შემდგარი, რომელიც განაგებდა, თვალყურს ადევნებდა შინაური საქმეების მოწესრიგებას, ახდენდა მსმენელების, კრებებს, სადაც ირჩეოდა კურსებთან დაკავშირებული და სხვა საკითხები.

ამხ. მასწავლებელ ვერა კიზირიას მიერ წაკითხულ იქნა რეფერატი: ,,ქალთა საკითხი''. მომხსენებელს ეტყობოდა საკმაო მომზადება, მან შესძლო მეცნიერულად გაშუქება ამ საკითხისა. აგრეთვე ამხ. ლ. ძიძიგურმა კურსების დამთავრებისას წაიკითხა რეფერატი: ,,მსოფლიო სევდა და ბარათაშვილის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიაში''. თვითმართველობის ხელმძღვანელობით კიდევ იქნებოდა რეფერატები წაკითხული, მაგრამ მსმენელებს უხდებოდა დიდი მეცადინეობა და ეს დროს სიმცირის გამო არ მოხერხდა. შემდგარი იყო მომღერალთა გუნდი გური ქვანიას ხელმძღვანელობით, გაიმართა უფასო წარმოდგენა კურსების საზეიმო დახურვის დღეს მსმენელი სცენის მოყვარეების მიერ.

კურსებზე დაარსებული იქნა იაჩეიკა, რომელსაც ხელმძღვანელობდა იაჩეიკის ბიურო ამხ. ამხ. ლ. ძიძიგურის, კიზირიას და ა. ცომაიას შემადგენლობით. იმართებოდა იაჩეიკის კრებები. სენაკის სამაზრო კონფერენციაზე იაჩეიკამ გაგზავნა თავისი დელეგატებიც.

უღრმეს მადლობას უძღვნით სენაკის განათლების გამგე ამხ. ვ. ქობულიას. კურსების გამგე ი. ცომაიას და ლექტორებს ამხ. ს. მამულიას. გ. კიზირიას, ვ. დემურიას, ვ. ნადარეიშვილს, ვ. ზოდელავას და ჩხეტიას, რომლებმაც დაკისრებული მოვალეობა შეასრულეს ღირსეულად.

ჩვენ მსმენელებმა კი კურსებზე შეძენილი ცოდნა და გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ მშრომელი ხალხის სასრგებლოთ, მშრომელ ახალგაზრდობის გასანათლებლად და ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად.

ლავრენტი ძიძიგური.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

ს. ს. ს. რ. სახ. გან კომისარიატის. 1922—23 სამოსწავლო წელში მუშათა ფაკულტეტებზე სტუდენტთა მიღების პირობის და წესის შესახებ.

1. მუშათა ფაკულტეტზე მიიღებიან: მუშები, რომელთაც სხვა და სხვა საწარმოო დაწესებულებებში პირადი ფიზიკური შრომით უმუშავნიათ არა ნაკლებ ორი წლისა, მიწის მუშანი, რომელთაც არ უსარგებლიათ სხვისი, ნაქირავები შრომით და ორი ან მეტი წლების განმავლობაში ფიზიკურად უმუშავნიათ მეურნეობაში, როგორც ძირითად პროფესიაში, ხოლო არა ფიზიკურ შრომის მწევ პირთაგან მიიღებიან: მხოლოდ კომუნისტურ პარტიის წევრნი, რომელთაც აქვთ **ორწლიური** პარტიული სტაჟი და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წევრნი, რომელნიც ამ ორგანიზაციაში ირიცხებიან არა ნაკლებ 3 წლისა.

შენიშვნა: კომუნისტურ პარტიის იმ წევრთ, რომლებიც პარტიაში ჩარიცხვამდე ითვლებიან ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირში, მათი პარტიული სტაჟის რაოდენობის გამორკვევის დროს, ჩაეთვლებათ ის დროც, რომელიც მათ კავშირის ორგანიზაციებში გაუტარებიათ.

შენიშვნა 2: წითელარმიელნი მუშათა ფაკულტეტებზე მიიღებიან საერთო დებულებათა მიხედვით, ე. ი. კლასობრივი ან პარტიული მიმართულების მიხედვით, პირველი მუხლის მხედველობაში მიღებით.

2. მისაღებთა ჰასაკი განისაზღვრება არა ნაკლებ 18 წლისა, გამონაკლისის დაშვება შეუძლებელია.

3. განათლების ცენზის მხრივ მისაღებ სტუდენტს მოეთხოვება წერა-კითხვის თავისუფლად ცოდნა იმ ენაზე, რომელზედაც სწარმოებს სწავლა ამა თუ იმ ფაკულტეტზე, აგრეთვე ცოდნა ანგარიშის პირველი ოთხი მოქმედებისა.

4. მუშათა ფაკულტეტის ყველა ადგილების 80 პროცენტი დაეთმობა პროფკავშირებს, ხოლო დანარჩენი 20 პროცენტი კომუნისტურ პარტიას, ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს.

5. მუშათა ფაკულტეტის სექტორი მუშათა პროფკავშირისა, კომუნისტურ პარტიისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ანაწილებს მუშათა ფაკულტეტების ყველა ადგილებს და აცნობებს შედეგს მუშათა ფაკულტეტების პრეზიდიუმს.

შენიშვნა: უკეთუ აღნიშნულ განაწილების შემდეგ ყველა ვაკანსიები არ იქნება შევსებული, მიღების ვადის 10 დღის შემდეგ მუშათა ფაკულტეტის პრეზიდიუმს კურსის კომიტეტთან ერთად ნებართვა ეძლევა შეავსოს ცარიელი ვაკანსიები ისეთი კანდიდატებით, რომელნიც აკმაყოფილებენ ფაკულტეტზე მიღების პირობებს.

6. მიღება და დაშვება შესამოწმებელ გამოცდებზე მუშათა ფაკულტეტებზე ხდება ტფილისში მთლიანი სამანდატო კომისიის მიერ, რომელშიაც შედიან: მუშათა ფაკულტეტის სექტორის წარმომადგენელი—ერთი (თავმჯდომარე), ორი მუშათა პროფკავშირის, ერთი კომუნისტურ პარტიის და ერთი ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირიდან.

7. ამ კომისიის დადგენილებანი საბოლოვოა და მათი გასაჩივრება შეუძლებელია. იგი უფლებამოსილია უარჰყოს ესა თუ ის მანდატი და არ მიიღოს შეუფერებელი კანდიდატი.

8. ზემოაღნიშნულ კომისიების გარეშე სტუდენტთა მიღება მუშათა ფაკულტეტზე დაუშვებელია.

9. კომისია იკრიბება მუშათა ფაკულტეტებზე სტუდენტთა მიღების წინადღეებში, ხოლო სამოსწავლო წლის განმავლობაში მაშინ, როდესაც ფაკულტეტზე არა ნაკლებ 10 ცარიელი ვაკანსიისა იქნება.

10. გარდა სამხედრო ბეგარის მოხდის შესახებ საბუთებისა, ფაკულტეტზე შესვლის მსურველს უნდა ჰქონდეს მომავლინებულ ორგანიზაციის მოწმობა სახელის, მამის სახელის, გვარის, წლოვანობის, პარტიისა და ორგანიზაციებში ფიზიკური შრომის ან მუშაობის აღნიშვნით, აგრეთვე იმ ადგილის ნორმის აღნიშვნით, რომელიც დათმობილი აქვს ორგანიზაციას და დასახელებით იმ მუშათა ფაკულტეტისა, რომელზედაც მივლინებულია მსურველი ორგანიზაციის მიერ.

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარი **დ. კანდელაკი.**

მუშათა ფაკულტეტის სექტორის გამგე **ხ. გძელიშვილი.**

ს. პროფ. საბჭოს კულტ განყოფილების გამგე **გ. ყურულაშვილი.**

1922 წ. 5 ენკენისთვე.

ქ. ტფილისი.

სარედაქციო კოლეგია.

ეკატერინე ვასილის ასული ერემენკო, სტეფანე (ბიჭიკო) იოსების ძე, აკილინა ბართლომეს ასული, მარგალიტა და თინა **კალანდარიშვილები** ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისათვის ძვირფასი დედა, მეორეთათვის დაუვიწყარი და, მესამეთათვის მული და უკანასკნელ ორთათვის ტკბილად მოსაგონარი დაუვიწყარი მამიდა

პელაგია იოსებ კალანდარიშვილის ასული
ერემენკო.

დაკრძალვა მოხდება ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში 9 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ქ. თბილისი ყაფიანის ქ. № 8. (292—2—2)

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მუშა მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი

ამხ. ვლადიმერ (ლადო) სარდიონის ძე
ხოხიაშვილი

რომლის დაკრძალვა დანიშნულია კვირას 10 ენკენისთვეს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება იმავე დღეს დილ. 9 საათ. არამიანცის საავადმყოფოდან, და მისვენებული იქნება სამხედრო ტაძარში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. მეტეხის აღმართი № 10. (293—2—2)

მწუხარებით ღლვსილი ამხანაგები: **ვალერიან შანიძე, გიორგი ყოჩიაშვილი და ნიკოლ. ნიკიტინი**, ამით აუწყებენ ნაცნობთა და ამხანაგებს, ტფილისის საერთო განათლების ახლად კურს დამთავრებულის ფოსტა ტელეგრაფის კომისარიატის თანამშრომლის სამაგალითო პ-ლ ამხ.

ვლადიმერ (ლადო) ხოხიაშვილის

(დაბ. 23 წლისა)

უდროოთ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ ა/წ. 5 სექტემბერს გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 10 სექტემბერს ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 9 საათზე, არამიანცის სახელობის საავადმყოფოდან და პანაშვიდი სამხედრო სობოროში.

ვთხოვთ ამხანაგებს დაესწრონ დაკრძალვას.

(297—1—1)

შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის ფულით შეცვლის კომისიამ

შეამჩნია, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედი პირები დადიან სახლებში და მოითხოვენ მოქალაქეებისაგან შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის წარდგენას.

კომისია ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ შრომის გადასახადის აკრეფა არ ხდება სახლებში და იმ პირებმა, რომელნიც იხდიან გადასახადს, უნდა შეიტანონ ასეთი სათანადო სამილიციო კომისარიატში და წარუდგინონ სპეციალურათ ამ მიზნისათვის დანიშნულ ამკრებს, რომელიც ფულის გადახდის დროს გადამხდელის დოკუმენტებზე აწებებს ხუთმანეთიან მარკას.

სახლებში შეიძლება წარდგენილ იქნეს მოთხოვნილება მხოლოდ ტვირთზიდვის გადასახადის შეტანის შესახებ, ე. ი. გადასახადი შეიტანონ იმ პირებმა, რომელთაც აქვთ ტვირთსაზიდი საშუალება ცხენით ან ჰყავთ სამუშაო საქონელი. ამ შემთხვევაში მოთხოვნილებას წარუდგენენ მათ ქალაქის აღმასკომის სათანადო სარაიონო აგენტები, რომელიც გადამხდელის მიერ გადასახადის წარდგენის დროს აწებებს მის დოკუმენტს ათ ან თორმეტმანეთიან მარკას.

ყველა იმ პირებს, რომელნიც ჰკრებენ შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადს აქვთ მიცემული სათანადო მანდატები.

კომისიის თავმჯდომარე დ. თაქთაქიშვილი.
კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **რუხაძე**

(295.—1—1).

თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს,

რომ შემოწირულებათა მიღება ამხ. კამოს საბავშვო სახლის ფონდისათვის გრძელდება.

ყველა დაწესებულებებსა და კერძო პირებს, რომლებიც კრეფდენ შემოწირულებებს ან აწყობდენ კონცერტებს, წარმოდგენებსა და სხვა ამხ. კამოს სახელობის საბავშვო სახლის სასარგებლოთ, წინადადება ეძლევა ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, წარმოადგინონ ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმში სრული ანგარიშები და შეკრეფილი ფული.

ქალ. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ი. წავწავაძე.
მდივანი **ხუნდაძე.**

(1—1)

გაზეთის ტრესტის მთავარი
კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე სექტემბრის ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება.

(0—38)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების
საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღის გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრაგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში. (0—17)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
(25—24)

თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება უკანასკნელად აცნობებს

ყველა სახლის პატრონებს, რომ სახლების რეგისტრაციაში გასატარებლად საანკეტო ფურცლების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია **20 სექტემბრამდე**, ხოლო სარეგისტრაციო ბარათების გაცემის ვადა

ოც ოქტომბრამდე

სახლის მფლობელობა, რომელიც არ გატარდება რეგისტრაციაში გამოცხადებული იქნება უპატრონოთ და გამოცხადდება ქალაქის საკუთრებათ.

(287—3—2)

სახალხო მეურნეობის უმაღლესი
საბჭოს
სათბობ მასალათა
განყოფილება

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს, ვისაც აქვს განყოფილების ან ყოფ. მეფაბრიკე-მექარხნე საზოგადოების ბოჭკები, 7 დღის განმავლობაში დააბრუნონ

ნავთის საწყობში № 1—2-ე . . ავჭალის 11.
,, ,, № 2 . . ნავთლუღი, კახეთის და ნავთლუღის ქ. კუთ.
,, ,, № 3 . . ნავთლუღი კახეთის ჩიხი.
,, ,, № 4 . . მაზუთის შეს. № 5.
,, ,, № 5 . . ბათუმის შესახ. № 3.

აღნიშნული ბოჭკები თავისი საშუალებით ან ჩააბარონ ასეთები განყოფილების აგენტს—რწმუნებულს.

იმ დაწესებულებებს და წარმოებებს, რომელთაც აღნიშნულ ვადაზე არ დააბრუნებენ ბოჭკებს, მოესპობათ ნავთის პროდუქტების მიცემა სათბობ მასალათა განყოფილების ტარაში.

281. 3—3

დამეკარგა მატრიკული № 3982 მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად სტუდენტი გიორგი მათეს ძე ნიკოლაიშვილი. (294—1—1)

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 23. ჩაითვალოს გაუქმებულად. გიორგი ერისთავი. (295—1—1)

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.